



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



№ 11-ი

01 / მარტი / 2019 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის, მდებარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.შრომა (საკადასტრო კოდი 54.03.53.011) შრომის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის პირველი სართულის სამი ოთახი ჯამში 48.00კვმ. ფართი, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით გადასცეს სოფელ შრომის სათემო კავშირ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ანი ბანი“- ს (საიდენტიფიკაციო კოდი 433106587) 2 წლის ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.